www.24saati.ge

24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ შაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 25 აგვისტო, 2012 წელი. | №3098 (191) | ფასი 50 თეთრი

თამაში ძველი სიებით

მაგდა ლეკიაშვილი

ახალი საარჩევნო კოდექსის მთავარ მიღწევად, როგორც პოლიტიკური სპექტრი, ისე საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ექსპერტები, სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის შექმნას ასახელებენ. მაშინ, როდესაც ეუთო-ს პრეზიდენტი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში და სხვა მაღალი თანამდებობის პირები წინასაარჩევნოდ დახვეწილ სიებზე მიუთითებენ, ერთ-ერთი ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია ხარვეზებზე საუბრობს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"ღია დემოკრატიის კომიტეტის" პოლიტიკური კონსულტანტი ტერი ბენჩემი

ინტერნეტის გაუვნებელყოფა

რუსეთში მთავრდება წინადადებების შემუშავება კანონისთვის "უკანონო ინფორმაციის მიღებისგან ბავშვთა დაცვის შესახებ" საბოლოო სახის მიცემის თაობაზე. კომუნიკაციების სამინისტროსთან დაახლოებული წყარო ამტკიცებს, რომ ორმხრივი გადაწყვეტილება ხელისუფლებასა და ინტერნეტგაერთიანებას შორის უკვე ნაპოვნია. ყველა საიტზე მოხდება უკანონო ინფორმაციის ბლოკირება არა URL-ის, არამედ IP-მისამართის საშუალებით, კონკრეტული "აქაუნთების" ბლოკირებას კი სერვერის მფლობელი მოახდენს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

21-წლიანი პატიმრობა ანდრეს ბრეივიკს

21 წლით თავისუფლების აღკვეთა - ასეთი განაჩენი გამოუტანა მასობრივი მკვლელობის საქმის ხანგრძლივი განხილვის დასასრულს ნორვეგიის სასამართლომ ცნობილ ტერორისტ ანდრეს ბრეივიკს. ადგილობრივი კანონმდებლობით, ეს მაქსიმალური სასჯელია. "ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, განაჩენში მითითებულია, რომ პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ, სასამართლომ, შესაძლოა, ბრეივიკი ციხეში დატოვოს, თუ დაადგენს, რომ ის საზოგადოებისთვის საშიშროებას წარმოადგენს.

ოსლოსა და კუნძულ უტოიაზე ტერაქტების მომწყობი ანდრეს ბრეივიკი, რომელმაც 77 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სასამართლომ შერაცხადად სცნო. სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა - ბრეივიკი შეურაცხადად გამოეცხადებინათ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოეთავსებინათ.

საქმე ისაა, რომ აქამდე არსებობდა ექსპერტიზის ორი ურთიერთსაპირისპირო დასკვნა ბრეივიკის ფსიქიური მდგომარეობის შესახებ. პირველი დასკვნით, ნორვეგიელს, რომელიც მასობრივი მკვლელობის ჩადენას აღიარებს, თუმცა თავს დამნაშავედ არ ცნობს, პარანოიდული შიზოფრენია აქვს. თავის დროზე ბრეივიკმა სამედიცინო ექსპერტიზის ეს დასკვნა გააპროტესტა და ხელახალი ექსპერტიზა მოითხოვა. მეორე დასკვნის მიხედვით კი ის შერაცხადი და ჯანმრთელია. ტერორისტის შერაცხადობა-შეურაცხადობაზე ბოლო სიტყვა, ბრალდებულის ჩვენებებზე დაყრდნობით, სწორედ სასამართლოს უნდა ეთქვა.

ოსლოს სასამართლოში ბოლო პროცესი გაძლიერებული დაცვის ფონზე ჩატარდა. სხდომათა დარბაზში ბრეივიკი მინით შემოსაზღვრულ საკანში იმყოფებოდა, რათა დაღუპულთა ნათესავებისთვის მოერიდებინათ. განსხვავებულად იყო მოწყობილი სასამართლო დარბაზიც.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

თუ კინოვარსკვლავობა გსურთ

ეროვნული კინოცენტრი პროექტ Shooting Stars-ს იწყებს

ია ვეკუა

ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით ახალგაზრდა კინომსახიობებისთვის კონკურსი Shooting Stars იწყება. ეს გახლავთ ორგანიზაცია ევროპული კინოს პრომოუშენის (European Film Promotion) პროექტი, რომელიც ახალი ტალანტების აღმოჩენასა და მათ ევროპულ კინობაზარზე პოპულარიზაციას ითვალისწინებს. კონკურსი საკმაოდ პრესტიჟულია და ის მრავალი წელია ტარდება, მასში მონაწილეობისთვის კი საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა საჭირო, რაც ჩვენი კინემატოგრაფის პირობებში არც თუ იოლი შესასრულებელი იქნება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6474⇩
1 ევრო	2.0675⇩
1 ინგლისური გირვანქა	2.6149⇩
1 თურქული ლირა	0.9182⇩
100 რუსული რუბლი	5.1996⇩

თბილისი	32°C - 21°C
ქუთაისი	33°C - 22°C
თელავი	31°C - 16°C
ზუგდიდი	31°C - 18°C
ბათუმი	28°C - 19°C

ნავთობი	3.13	-0.01	-0.28%
გაზი	2.74	-0.06	-2.37%
ოქრო	1,673.80	+1.00	+0.06%
ხორბალი	888.00	-6.75	-0.76%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

ვალიდოლის ნაკრები

ზურაბ თალაკვაძე

რუმინეთში და ჰოლანდიაში არ უნდა ვიცელქოთ და ევროპის ჩემპიონატის ვიზა აღებული გვაქვს. საკუთარ ტერიტორიაზე ლატვიასთან კარგად დავიწყეთ, ქართულად გავაგრძელეთ და ამერიკულად დავხურეთ. 79:76 მძიმე ანგარიშია და საქართველო ამ საკვალიფიკაციოში ჯერ მძიმედ იგებს. უბრალოდ, ჯერ არ აგებს და საბოლოო შედეგი მისაღებია. ლატვია ცოტა სხვა კალათბურთს თამაშობს. ბოსნია მირზა ტელეტოვიჩის გარშემო იკვრება და ლატვიაში ყველა დარბის, ყველა შუთეროზს და ყველა პრობლემას ქმნის. თან, პრობლემას აგვარებს. ჯგუფის ფავორიტი იგებს და სასიამოვნოა, როდესაც ჯგუფის ლიდერი, საუკეთესო გუნდი გყავს. ვინერვიულეთ და ამერიკულად მოვიგეთ.

ამ საკვალიფიკაციოში კარგია გიორგი ცინცაძე. ბუმ ეს თამაშიც სერიოზულად გახსნა, პირველ მეოთხედში 6 ქულა წამოიღო, დაცვაში მშვიდად იდგა და რამდენიმე საინტერესო პასიც დატოვა. გიო ცოტა დაიღალა და მაინც თითქმის სამმაგი დუბლი გააკეთა. ცინცაძემ გამოასწორა თითქმის ყველაფერი და ნაკლებ შეცდომას უშვებს. თან, თითქმის არ ნერვიულობს. მშვიდ პირველ ნომერთან ერთად მთელი ნაკრები მშვიდი და გაწონასწორებულია. ლატვიასთან გიორგი ძალიან კარგი იყო.

ლატვიასთან სერიულად ვითამაშეთ. რაღაც მომენტში გავიქეცით და ტემპს კარგად ვაკონტროლებდით. რაღაც მომენტში ვიდექით და დაცვაში ელემენტარულ შეცდომებს ვუშვებდით. იმ მომენტში ვაგვიანებდით დაცვაში, ვერ ავდიოდით დაზღვევაზე, ვკარგავდით ბურთს. ლატვიამ ჩვენი ტერიტორიიდან 17 მოხსნა წამოიღო. ზაზა ფაჩულიას, ვიკა სანიკიძის და თორნიკე შენგელიას სიმაღლით და სტამინით საკუთარი სამწამიანიდან 17 მოხსნა არ უნდა გაატანო. ლატვიამ მაინც აიღო ასაღები.

მოხსნაზე სამივე გარჩევაში ყური აგვიწიეს. რუმინეთმა ჩვენი სამწამიანიდან 18 მოხსნა აიღო. რუმინეთმა. საქართველოსთან. ზაზა ფაჩულიასთან. 18 მოხსნა.

ბოსნიამ იგივე ამბავში 17 მოხსნა დაირტყა. ბოსნია უფრო ახლობლობს კალათბურთთან, ვიდრე რუმინეთი. ბოსნიაში ტელეტოვიჩია.

მოხსნაზე უყურადღებო თამაში ბოლომდე უყურადღებობის ამბავში არ უნდა გავატაროთ. ენერგიის გადანაწილება რაციონალურად ხდება და თუ მოხსნაზე ვერ ვხსნით, მეორე გუნდს ბურთის გადმოტანის პროცესში ვუქმნით პრობლემებს.

გაგრძელება
მე-12 გვერდზე

გიორგი ცინცაძეს სერიოზული საკვალიფიკაციო აქვს

"ევროკავშირი და ნატო საქართველოს საგარეო პოლიტიკის აბსოლუტურ პრიორიტეტებად დარჩება"

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე საგარო საქმეთა მინისტრის უკვე ყოფილმა მოადგილემ თორნიკე გორდაძემ შეცვალა. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, ახალი მინისტრი თანამშრომლებს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გუშინ წარუდგინა. გიორგი ბარამიძეს, რომელმაც დაკავებული თანამდებობა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით დატოვა, პრემიერ-მინისტრმა გაწეული საქმიანობისათვის მადლობა გადაუხადა, ხოლო ახალ მინისტრს მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

თორნიკე გორდაძის განცხადებით, ევროკავშირი და ნატო საქართველოს საგარეო პოლიტიკის აბსოლუტურ პრიორიტეტებად დარჩება. მისი თქმით, საქმე ეხება ძალიან კონკრეტულ მისწრაფებებს, რაც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას გულისხმობს. ეს კი, თორნიკე გორდაძის განმარტებით, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ძალიან კონკრეტულ სარგებელს მოუტანს.

"უპირველეს ყოვლისა, ნატო-ში გაწევრიანება ნიშნავს უსაფრთხოებას, რის გარეშეც მომავალზე ფიქრი წარმოუდგენელია. რაც შეეხება ევროკავშირს, მასთან დაახლოებას და მასში გაწევრიანებას ექნება უაღრესად დიდი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალზე. ეს მოიზიდავს დიდი რაოდენობით ინვესტიციებს, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და დაამყარებს ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლას", - განაცხადა თორნიკე გორდაძემ და აღნიშნა, რომ ეს საკითხები პრიორიტეტულად მისი მინისტრობის პერიოდშიც დარჩება და ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება.

თორნიკე გორდაძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს ნდობისთვის, ხოლო მის წინამორბედს, გიორგი ბარამიძეს - სახელმწიფო მინისტრის პოსტზე ნაყოფიერი მუშაობისთვის.

თორნიკე გორდაძე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე 2010 წლის 25 ივნისიდან მუშაობდა და ევროკავშირთან ურთიერთობების მიმართულებას ხელმძღვანელობდა. გიორგი ბარამიძე "ნაციონალური მოძრაობის" ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელდა.

გიორგი ღვინიაშვილმა თანამდებობა დატოვა

კახეთის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის გამო თანამდებობა დატოვა. გუბერნატორის მოვალეობას მისი პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი შეასრულებს.

გიორგი ღვინიაშვილი 1-ელ ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობიდან" გურჯაანში იყრის კენჭს.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

21-წლიანი პატიმრობა ანდრეს ბრეივიკს

პირველი გვერდიდან

დარბაზში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერები, რომელთა მეშვეობითაც ნორვეგიის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ დაღუპულთა ნათესავებს ვერდიქტისთვის თვალყურის დევნება შეეძლებოდათ.

სასამართლო პროცესების მსვლელობისას, ტერორისტმა, მის მიერ მოკლულების ოჯახის წევრებისა და დაჭრილების თანდასწრებით, არაერთხელ გამოთქვა სინანული, რომ მეტი ადამიანის დახოცვა ვერ მოახერხა. ჩვენების მიცემისას, ბრეივიკმა განაცხადა, რომ მის გეგმას "ყველას მოკვლა" წარმოადგენდა და სურდა გადარჩენილები წყალში გადაეყარა და დაეხრჩო. მას სურდა, მოეკლა ნორვეგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრიც და მისი მკვლელობის ამსახველი ვიდეომასალა ინტერნეტში გაევრცელებინა.

პროცესზე დამსწრე გარდაცვლილთა ოჯახის წევრების წინაშე ბრეივიკმა აღიარა ისიც, რომ ოსლოში დეტონატორების მანქანებში ჩამონტაჟებას გეგმავდა, რითაც სამთავრობო და მედიაორგანიზაციების შენობები უნდა აეფეთქებინა. აფეთქებას მაქსიმალური მსხვერპლი უნდა მოჰყოლოდა.

"მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მე ყველაზე ეფექტური და დახვეწილი თავდასხმა განვახორციელე ევროპაზე. ჩადენილ ქმედებას არ ვნანობ და იგივეს კვლავ გავაკეთებდი. ეს ქმედებები კეთილი ზრახვებით განვახორციელე და არა - ბოროტით," - განუცხადა მან სასამართლოს მას შემდეგ, რაც პროცესზე გარდაცვლილების სახელები და გვარები წაიკითხეს.

ოსლოში მიმდინარე სასამართლო პროცესზე დაიკითხა კუნძულ ოტოიაზე, ახალგაზრდულ ბანაკზე თავდასხმის დროს მოკლული თამთა ლიპარტელიანის მამაც. ლიპარტელიანი რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ, გარდაცვლილებს შორის იპოვეს. გარდაცვლილი ქართველი გოგონას ოჯახი ბრეივიკისთვის სამუდამო პატიმრობას მოითხოვდა. თამთა ლიპარტელიანის ოჯახი ასევე მოითხოვდა, ტერორიზმში ბრალდებული საერთაშორისო ტრიბუნალს გაესამართლებინა.

"ანდერს ბრეივიკს 21-წლიანი პატიმრობა სასჯელის სამუდამო გაგრძელების ნორმით მიესაჯა. ოსლოდან დამირეკეს და მითხრეს, რომ შეცდომაში არავინ შეგიყვანოთ, რადგან სასამართლოს განჩინებაში წერია, რომ 21-წლიანი პატიმრობის გასვლის შემდეგ, მას პატიმრობის ვადას ისევ გაუგრძელებენო," - განუცხადა სააგენტო "ინტერპრესნიუსს" თამთა ლიპარტელიანის დედამ ლეილა ასათიანმა. მისივე განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ოჯახი კმაყოფილია და ფიქრობს, რომ გადაწყვეტილება სამართლიანია.

"ბრეივიკი დღესვე რომ დაეხვრიტათ, ჩემთვის არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ განაჩენით სამართლიანობის განცდა დამრჩა და მაინც კმაყოფილი ვარ," - აცხადებს თამთა ლიპარტელიანის დედა.

მიხეილ სააკაშვილი: თავისუფლება ერთადერთი გზაა საქართველოსთვის

საქართველოს პრეზიდენტი გუშინ ჭიათურის სოფელ ქვაციხეს ესტუმრა. მიხეილ სააკაშვილმა ადგილობრივებს განხორციელებული სახელმწიფო პროექტები გააცნო და იმ პროგრამებზე ისაუბრა, რომლებიც ძალაში მომავალი თვიდან შევა.

ქვეყნის პირველმა პირმა განსაკუთრებული ყურადღება გაზრდილ საპენსიო პაკეტსა და საყოველთაო დაზღვევაზე გაამახვილა. პრეზიდენტმა იმ პროექტების შესახებაც ისაუბრა, რომელთა განხორციელებაც მთავრობას უახლოეს პერიოდში აქვს დაგეგმილი.

"ამ არჩევნებზე ჩვენი ბავშვები ხმას ვერ აძლევენ. არ მეეჭვება, რომ ქართველი ხალხი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და ჩვენი ხალხი არ დაუშვებს იმას, რომ როდესმე ამ ბავშვებმა ინანონ ის, რომ ჩვენ არასწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. მე და სანდრა დღეს ჩვენს სახლში ვჩერდებით, იქ, სადაც წერეთლების სახლ-მუზეუმია. ისინი გასული საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ და საუკეთესო ადამიანები იყვნენ. მათ ძალიან ბევრი კარგი რამ გააკეთეს საკუთარი ქვეყნისთვის, მაგრამ ამ ქვეყანამ თავისუფლება და დამოუკიდებლობა იმის გამო დაკარგა, რომ ორჯონიკიძეებს ჩაუვარდათ ხელში. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ამ პერიოდთან დაკავშირებულ მასალებს ვეცნობოდი. დამოუკიდებლობის მიღებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ქართველმა მოღალატეებმა ქვეყანა დამპყრობელს ჩააბარეს და იმ თაობისთვის ცხოვრება გაჩერდა. არ უნდა მოხდეს ისევ ის, რომ ამ ბავშვებისთვის ცხოვრება გაჩერდეს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. თავისუფლება ერთადერთი გზაა საქართველოსთვის", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

სასამართლო, ბავშვი და მშობელი

მომრავლებული განქორწინებების ფონზე, ხშირია ყოფილ მეუღლეებს შორის შვილებთან დაკავშირებული დავების შემთხვევები. ამ შინაარსის დავები ხშირად სასამართლომდე არც აღწევს და საკამოდ რთულ ფორმებსაც იღებს ხოლმე. არადა, მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად. გარდა მოვალეობისა და უფლების შეზღუდვისა, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს კიდეც მშობლის უფლება.

ერთმანეთზე განაწყენებული განქორწინებულები, ხშირ შემთხვევაში, ბოლოს იქმადე მიდიან, რომ ყოფილი მეუღლისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევას ითხოვენ.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2009 წელს, სასამართლოებში, ასეთი მოთხოვნით, სულ 56 საქმე შევიდა. აქედან, გადაწყვეტილების გამოტანით დასრულდა 35 საქმე. სარჩელი დაკმაყოფილდა 32 შემთხვევაში. 2010 წელში სასამართლოებში ამ სახის დავასთან დაკავშირებით, 172 სარჩელია შესული, საიდანაც დაკმაყოფილებულია 67 სარჩელი.

მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება და აქვთ უფლება, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის - სასამართლოში.

სამოქალაქო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ერთ-ერთი სიახლის თანახმად, თავად არასრულწლოვანს აქვს დაცვის უფლება მშობელთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, მშობლების (ერთ-ერთი მშობლის) მიერ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს, უკვე 14 წლის ასაკიდან აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს.

როგორც სასამართლოში განმარტავენ, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს. კანონის შესაბამისად, შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით.

თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას, იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი, წყვეტს სასამართლო, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

რაც შეეხება მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევას.

მშობლის უფლების ჩამორთმევა უკანასკნელი, უკიდურესი ზომაა, რაც უკიდურეს შემთხვევაში ხდება და რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო. კანონმდებლობის მიხედვით, მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობის შესრულებას, ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა. მსგავსი შინაარსის საქმეებზე სასამართლოებში გადაწყვეტილება ბავშვის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით გამოდის.

კანონმდებლობა მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენის მექანიზმსაც ითვალისწინებს. უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, უფლებაჩამორთმეულ მშობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა მოითხოვოს.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით, ბავშვის ერთ-ერთი მშობლის ინიციატივით. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველი აღარ არსებობს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

თამაში ძველი სიებით

პირველი გვერდიდან

ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია "ღია დემოკრატიის კომიტეტი" საქართველოში წინასაარჩევნო პროცესებს აკვირდება. აპრილიდან მოყოლებული, ორგანიზაციის დამკვირვებლები პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ხვდებიან. როგორც ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ბრაიან მეფორდი ამბობს, ისინი საქართველოში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწვევით იმყოფებიან, არჩევნებზე წარმოდგენილები იქნებიან, როგორც სადამკვირვებლო მისია (ამ ეტაპზე საქართველოში მათი ორგანიზაციიდან 20 დამკვირვებელია), რეგისტრაციას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კი არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე გაივლიან.

"ღია დემოკრატიის კომიტეტმა" წინასაარჩევნო პროცესების შესასწავლად ამერიკიდან პროფესიონალი პოლიტიკური კონსულტანტი ტერი ბენჰემი მოიწვია. გუშინ დაანონსებული იყო, რომ ამერკელი კონსულტანტი ჟურნალისტებს "რამდენიმე საინტერესო ფაქტსაც" გააცნობდა. როგორც ბენჰემი ამბობს, სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად ორი ფაქტორია გადამწყვეტი: საარჩევნო სიებზე წვდომა და კანონმდებლობის პატივისცემა. ბენჰემის თქმით, სწორედ ამ მიმართულებით საქართველოში წინასაარჩევნოდ გარკვეული პრობლემები არსებობს. პირველ რიგში, ამერიკელი ექსპერტი ამომრჩეველთა სიებზე საუბრობს. ბენჰემის განცხადებით, ამომრჩეველთა ერთიანი სია დაგვიანებით, მხოლოდ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებს საშუალებას არ აძლევს, სიები დამატებით შეამოწმონ. პრესკონფერენციაზე, რომელიც "ღია დემოკრატიის კომიტეტმა" ჟურნალისტებისთვის გამართა, წარმოდგენილი იყო დაპირებული "რამდენიმე საინტერესო ფაქტი", კერძოდ, ფოტომასალა მიტოვებული შენობებისა, სადაც ათობით ამომრჩეველია რეგისტრირებული. მაგალითად: ჯავახიშვილის ქუჩა 13-19, ჩამონგრეული სახლი, დარეგისტრირებულია 46 ამომრჩეველი; დადიანის 22, მიტოვებული შენობა, რეგისტრირებულია 42 ამომრჩეველი; ბარნოვის 82, ცარიელი პარკინგის ადგილას 8 ამომრჩეველია დარეგისტრირებული.

"24 საათი" დაინტერესდა ამ მონაცემების სანდოობით და იმით, შედარებულია თუ არა ეს მონაცემები ამომრჩეველთა ახალ სიასთან, სადაც ყველა ეს მისამართი სიების დაზუსტების კომისიამ გადაამოწმა და ხარვეზები აღწერა. ტერი ბენჰემმა "24 საათს" უპასუხა, რომ მონაცემები შედარებული არ არის ახალ სიასთან, ფოტოებზე ასახული მისამართები ძველი სიიდანაა. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოები დახლოებით ერთი კვირის წინაა გადაღებული, ამ მონაცემებს საერთო არაფერი აქვს 1 აგვისტოს გამოქვეყნებულ ამომრჩეველთა ერთიან სიასთან. ორგანიზაციის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ამ ეტაპზე ეს პრობლემები უკვე აღმოფხვრილი იქნება.

თავად ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ამბობს, რომ "ღია დემოკრატიის კომიტეტი" საქართველოში კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ჩამოყვანილია. კაციტაძის თქმით, გასაკვირია, რატომ არ წარმოადგინა კომიტეტმა ამომრჩეველთა სიებში აღმოჩენილი შეცდომები იმ ორგანიზაციასთან ერთად, რომელმაც ის საქართველოში ჩამოიყვანა. სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე ამბობს, რომ "ღია დემოკრატიის კომიტეტის" მიერ ამომრჩეველთა სიაში აღმოჩენილი დარღვევები სიახლე არ არის და ეს მათთვის უკვე კარგად ცნობილი პრობლემაა. კაციტაძის განცხადებით, არამარტო თბილისში, არამედ მთლიანად საქართველოში არის ადგილები, სადაც შენობა აღარ არსებობს და იმ ადგილზე ჩაწერილი ადამიანებიც იქ აღარ ცხოვრობენ. მისივე თქმით, ამგვარი გაურკვევლობა 66 ათასი ამომრჩევლის შემთხვევაშია დაფიქსირებული, ამიტომ "ღია დემოკრატიის კომიტეტი" ღია კარს ამტვრევს.

ამომრჩეველთა სიების თემა ერთადერთი "აღმოჩენა" არ ყოფილა, რომელზეც ამერიკულმა ორგანიზაციამ ისაუბრა. "ღია დემოკრატიის კომიტეტი" ყურადღებას ბოლო დროს გამოწერილ ჯარიმებზე ამახვილებს და ამბობს, რომ კოალიცია "ქართული ოცნების" წევრის კახა კალაძისა და კოალიციის ლიდერის მიმართ დაწესებული მილიონიანი ჯარიმები გადაჭარბებულია. ბენჰემი ამბობს, რომ თანხის ასეთმა დიდმა ოდენობამ, შესაძლოა, გააჩინოს ეჭვი, რომ ეს გადაწყვეტილებები პოლიტიკურადაა მოტივირებული.

"პოლიტიკური ჯარიმის ასეთი დიდი ოდენობა ამერიკაში არ დაფიქსირებულა. ყველაზე დიდი ჯარიმა 2004 წელს კონგრესის არჩევნების დროს 33 ათას 170 დოლარი იყო. საქართველოს კანონმა შესაძლოა დაუშვას ასეთი გადაჭარბებული ჯარიმები. ჩვენი მიზანი არაა საქართველოს კანონმდებლობის განსჯა, მაგრამ ასეთი ფაქტები საარჩევნო პროცესს ვნებს და მისდამი ნდობას ამცირებს," - ამბობს ამერიკელი ექსპერტი.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ღია დემოკრატიის კომიტეტი" ამერიკული ორგანიზაციაა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით არჩევნებს აკვირდება. კომიტეტი 2010 წელს ჩამოყალიბდა და მისი მრჩევლები და ექსპერტები ქვეყნებისთვის რეკომენდაციების მიცემით ცდილობენ, საარჩევნო გარემო გაუმჯობესონ. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ბრაიან მეფორდი ამბობს, რომ კომიტეტი კერძო ფონდებიდან ფინანსდება და ფულს არც ერთი ქვეყნის მთავრობისგან არ იღებს. მისივე თქმით, საქართველოდან შემოწირულობა არ მიუღიათ, თუმცა ქართულ დიასპორას, რომელიც ამერიკასა და ევროპაშია, მათ ანგარიშზე ფული ჩაურიცხავს...

რუსეთი საზღვრის დაცვას აძლიერებს

ნათია მსხილაძე

რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის საზღვრო სამსახურის დირექტორმა ვლადიმერ პრონიჩევმა ჩრდილოეთ კავკასიაში "საზღვრის დაცვის მრავალეშელონიანი სისტემის" შექმნის შესახებ განცხადება გააკეთა.

რუსი მაღალჩინოსნის განმარტებით, სასაზღვრო საგუშაგოებს თანამედროვე საფრენი საშუალებები, ღამის ხედვის მოწყობილობები და თბოვიზორები მიეწოდებათ.

საზღვრის დაცვა განსაკუთრებით საქართველოს მონაკვეთზე გააძლიერდება.

როგორც საინფორმაციო საagენტო "ИТАР-ТАСС"-ი წერს, პრონიჩევმა პუტინს უპატაკა, რომ აქამდე სასაზღვრო სამსახური მთავარი ყურადღების კონცენტრირებას ჩრდილოეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართულებებზე ახდენდა. ამ მიზნით, მისი თქმით, 2003-2011 წლების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა "99,5-პროცენტიანი ეფექტურობით" იქნა რეალიზებული. **"სამხრეთ ოსეთის მიმართულებით სახელმწიფო საზღვრის დაცვის მშენებლობა, ფაქტობრივად, დავამთავრეთ, ამჟამად მიმდინარეობს მისი მოწყობა საინჟინრო თვალსაზრისით",** - განაცხადა პრონიჩევმა.

პუტინი განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვითარებით დაინტერესდა. კონკრეტულად, თუ რა სამუშაოები ხორციელდება ჩრდილოეთ კავკასიის ამა თუ იმ სასაზღვრო მონაკვეთებზე.

"ИТАР-ТАСС"-ის ინფორმაციით, რუსეთის მთავარმა მესაზღვრემ პასუხი დააზუსტა და განაცხადა, რომ მთავარი ძალისხმევა მიმართულია, რათა "დაცული იყოს შორი მისადგომები", ანუ ცხინვალისა და აფხაზეთის მიმართულებები. როგორც ცნობილია, ამ მონაკვეთზე რუსეთის საოკუპაციო ჯარების შემადგენლობაში მყოფი რუსი მესაზღვრეები არიან განლაგებულნი.

"ამ დროისთვის ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით ჩვენი ძალისხმევა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მონაკვეთებზეა კონცენტრირებული. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის მშენებლობა, ფაქტობრივად, დავასრულეთ, სრულდება საინჟინრო ნაგებობების მშენებლობაც. ამგვარად, შექმნილი იქნება საზღვრის დაცვის მრავალეშელონიანი სისტემა წინა ხაზზე. სამხედრო ნაწილებს შეიარაღებაში უკვე მიეწოდებათ თანამედროვე საფრენი საშუალებები, ღამის ხედვის მოწყობილობები, თბოვიზორები და სხვა ტექნიკა,"-აღნიშნა პრონიჩევმა.

ხიდაშელი მოწმის სტატუსით დაკითხეს

გუშინ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ერთი საათის განმავლობაში, "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი და "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი იკითხებოდა. ის აუდიტის სამსახურის უფროსმა ნათია მოგელაძემ და მისმა მოადგილემ მოწმის სტატუსით დაიბარეს.

როგორც გაირკვა, დაკითხვისას, აუდიტის სამსახურის წარმომადგენლების შეკითხვა ორ შემოწირულობას შეეხო, რომელიც თინა ხიდაშელმა განახორციელა რესპუბლიკური პარტიის, "თავისუფალი დემოკრატების" და კონსერვატიული პარტიის მიმართ.

აუდიტის სამსახური დაინტერესდა, თუ საიდან აქვს "ქართული ოცნების" მაჯორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ფინანსური შემოსავლები, რომ მან დიდი ოდენობით ფინანსური დახმარების გაწევა შესძლო რესპუბლიკურ პარტიისთვის. მეორე საკითხი, რომლითაც აუდიტის სამსახური დაინტერესდა, შეეხებოდა "თავისუფალი დემოკრატებისთვის" და კონსერვატიული პარტიისთვის გაღებულ არამატერიალურ შემოწირულობას.

"ნათია მოგელაძის ძირითადი შეკითხვა ეხებოდა იმას, თუ რატომ გადავწყვიტე "კონსერვატორებისა" და "თავისუფალი დემოკრატების" სასარგებლოდ არამატერიალური შემოწირულობის განხორციელება. შესაბამისად ავუხსენი, რომ გამომდინარე იქედან, რომ კოალიციაში შემავალი პარტიების ანგარიშებს ინკასო ედო, ისინი ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას ვერ ახრეხებდნენ. მე გამოვისყიდ ვალდებულება და მომსახურების სახით შევწირე აღნიშნულ ორ პოლიტიკურ სუბიექტს, რადგან მათ ჰქონოდათ საშუალება კარდაკარის პროგრამის მონაწილეების და სხვა საჭიროებების შემთხვევაში ფინანსური უზრუნველჰყოფა. კითხვები ჩემს მიერ კოალიციის სასარგებლოდ განხორციელებულ 10 000 ლარის ოდენობის შემოწირულობასაც შეეხო," - განმარტავს თინა ხიდაშელი.

თინა ხიდაშელისთვის გაუგებარია, მისი მოწმის სტატუსით დაკითხვა.

"ჩემთვის მოწმის სტატუსით დაკითხვა გაუგებარია, თუმცა ამაშიც არაა პრობლემა. მოხარული ვიქნები და მივესალმები, თუ აუდიტის სამსახური ყველა პოლიტიკური პარტიის ყველა შემომწირველით დაინტერესდება," -აცხადებს ხიდაშელი.

კალაძეს "გამოსამშვიდობებლად" სტადიონი არ დაუთმეს

"ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერის კახი კალაძის განცხადებით, ფეხბურთთან გამოსამშვიდობებელი მატჩი 13 სექტემბერს უნდა გამართულიყო, თუმცა სტადიონის დათმობაზე უარი უთხრეს.

კალაძეს სურდა, გამოსამშვიდობებელი საღამოსთვის საქართველოში კლუბი "მილანი" ჩამოეყვანა და ამხანაგური შეხვედრა გაემართა.

"ჩვენ მზად ვიყავით, 13 სექტემბრისთვის ჩამოგვეყვანა კლუბი "მილანი" და გამართულიყო საქართველოსთან ამხანაგური შეხვედრა, მაგრამ გუშინ მივიღეთ ოფიციალური უარი. გვითხრეს, რომ სტადიონი 1 თვის განმავლობაში დაკავებულია და ყველა დღე უკვე გაწერილია", - განაცხადა კალაძემ და აღნიშნა, რომ ოქტომბერში, როცა "ქართული ოცნება" გაიმარჯვებს, გამოსამშვიდობებელ მატჩს აუცილებლად გამართავს.

"მწვანეთა პარტია" თავის ამომრჩევლებს "ქართული ოცნებისკენ" უშვებს

"მწვანეთა პარტია" საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. როგორც პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, მათ ყველა პროცედურა გაიარეს და რეგისტრირებულები იყვნენ საარჩევნოდ, თუმცა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არჩევნებში მონაწილეობა პარტიამ არ მიიღოს.

"ბიძინა ივანიშვილის კოალიციას გამარჯვების უფრო მეტი შანსი ექნება. არც ერთი ხმა დასაკარგი არ არის, ამიტომ უარს ვაცხადებთ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. ჩვენს ამომრჩევლებსა და მხარდამჭერებს მოვუწოდებთ, მხარი დაუჭირონ ბიძინა ივანიშვილის კოალიციას, პოლიტიკურ პარტიებს კი - ჩვენს გადაწყვეტილებას მიბაძონ", - აღნიშნა პრესკონფერენციაზე გიორგი გაჩეჩილაძემ.

მერაბიშვილმა ჰესების მშენებლობა დაათვალიერა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელთან ერთად, ყაზბეგის რაიონში რამდენიმე ობიექტი დაათვალიერა. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი და გუბერნატორი, ენერგეტიკის მინისტრ ვახტანგ ბალავაძესთან ერთად, მდინარე თერგზე მშენებარე ჰიდროელექტროსადგურებს "ლარსი ჰესსა" და "დარიალი ჰესს" ესტუმრნენ და მშენებლობის პროცესს გაეცნენ.

ჰესების მშენებლობა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს და 2014 წელს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ მათ საქართველოს რეგიონები ხარისხიანი ელექტროენერგიით უნდა უზრუნველყონ.

ჰესების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დაბა სტეფანწმინდაში ახლად გახსნილი Rooms Hotel Kazbegi დაათვალიერა და დამსვენებლებს გაესაუბრა. სასტუმრო 2012 წლის ივლისში გაიხსნა და მას 156 ოთახი აქვს. სასტუმროში 90 ადამიანია დასაქმებული, რომელთა უმეტესობა ადგილობრივია.

გორში სკვერების კეთილმოწყობა მიმდინარეობს

გორში სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. გორის გამგეობის პრესსამსახურის ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოები შინდისის გზატკეცილზე, ამილახვრისა და კაჩინსკის ქუჩებზე ხორციელდება. სკვერების გარდა, ცხინვალის გზატკეცილზე მინისტადიონის მოწყობაც არის დაგეგმილი.

პროექტის თანახმად, სკვერებში წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის საფარი, ფეხით სავალ ნაწილებზე დეკორატიული ფილები, სასმელი წყლის სოკოები, კალათბურთის მოედნები და ბავშვებისთვის სათამაშო კუთხეები მოეწყობა. ასევე, სამივე სკვერში დამონტაჟდება დეკორატიული სანათები და სკამები. რაც შეეხება სპორტულ მოედანს, მასზე მოეწყობა ხელოვნური საფარი, განათება, დეკორატიული სკამები და ფეხბურთის კარი.

აღნიშნულ სამუშაოებს, შპს "შარა" ასრულებს. სამუშაოები 8 აგვისტოს დაიწყო და ოქტომბრის დასაწყისში დასრულდება. პროექტის განსახორციელებლად საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 337 878 ლარი გამოიყო.

ბუნებით მორცხვ სოსო ჯაჭვლიანს ზურგს ივანიშვილი უმაგრებს

კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოსო ჯაჭვლიანი გლდანის მოსახლეობას შეხვდა. ჯაჭვლიანი მათ არსებულ პრობლემებზე ესაუბრა, წინასაარჩევნო პროგრამა გააცნო და აქტიურობისაკენ მოუწოდა.

"მე ბუნებით მორცხვი ადამიანი ვარ, მაგრამ ზურგს მიმაგრებს ისეთი კაცი, როგორიც ბიძინა ივანიშვილია. მინდა, მისი დანაბარები გადმოგცეთ: ამაყად დაჰპირდი და ჩვენ შევასრულებთო. მე მგონი, თქვენც დაგვეთანხმებით ამაში", - აღნიშნა ჯაჭვლიანმა მოსახლეობასთან შეხვედრისას.

კახა ძაგანია ისნის მოსახლეობას შეხვდა

"ლეიბორისტული პარტიის" ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კახა ძაგანია ისნის მოსახლეობას შეხვდა, სადაც მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების პრობლემებზე ისაუბრეს.

"ლეიბორისტების" ინფორმაციით, როგორც კახა ძაგანიას ისნის რაიონის მაცხოვრებლებმა განუცხადეს, მათ სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდებათ, თუმცა კომუნალურ გადასახადს დიფერენცირებულად არ ახდევინებენ და გადასახადი 24-საათიანი მომარაგების ტარიფის მიხედვით უწევთ.

ევროპის ლიდერები საბერძნეთს შეღავათს არ აძლევენ

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ოფიციალური ათენი გააფრთხილეს, რომ საბერძნეთს ფინანსური დახმარების მიღების პირობების შემსუბუქების იმედი არ უნდა ჰქონდეს. საბერძნეთის ახალი მთავრობა რეფორმების ანუ საბიუჯეტო ხარჯების შემცირების პროგრამის გადავადებას ორი წლით ითხოვს. ოთხშაბათს გერმანულმა გაზეთმა "ბილდმა" საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ ანტონის სამარასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა. პრემიერი აცხადებს, რომ მის ქვეყანას დეფიციტის შესამცირებლად და ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისთვის პაუზა სჭირდება. მერკელმა და ოლანდმა საბერძნეთის საკითხი ჯერ საკუთარ შეხვედრაზე განიხილეს, პარასკევს სამარასისა და მერკელის შეხვედრა შედგა, დღეს კი საბერძნეთის პრემიერის ოლანდთან შეხვედრა უნდა გაიმართოს. ამ შეხვედრებს ერთმანეთისთვის მხოლოდ შეხედულებების გაცნობის ფუნქცია აქვს და გადაწყვეტილებები არ მიიღება. ორი დღის წინ სამარასის ევროჯგუფის მოქმედ ხელმძღვანელს, ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრ ჟან-კლოდ იუნკერს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ამ უკანასკნელმაც განაცხადა, რომ საბერძნეთი უფსკრულის პირას დგას და პირობების გადახედვა მხოლოდ საბერძნეთის კრედიტორების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

ბოლო ორი წლის განმავლობაში (მას შემდეგ, რაც საბერძნეთს სერიოზული ფინანსური დახმარება დასჭირდა) ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები ძალიან ფრთხილად ეკიდებიან იმ ტიპის იდეებს, როგორითაც ამჯერად ანტონის სამარასი გამოდის. სექტემბრის დასაწყისში მოლაპარაკებების გასამართავად ათენში ჩავლენ ე.წ. "სამეულის" - საბერძნეთის კრედიტორების წარმომადგენლები. ამ "სამეულში" შედიან საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროკომისია.

ხელისუფლებამ "მოსკოვის ჰაიდპარკებისთვის" ადგილები შეარჩია

რუსეთის დედაქალაქის მერიამ განხილვის შემდეგ "ჰაიდ-პარკის" რუსული ანალოგების შესაქმნელად შეარჩია პარკი "სოკოლნიკი" და გორკის სახელობის პარკი. ამ მიზნისთვის გამოიყოფა არა მთლიანად პარკები, არამედ მათი გარკვეული ნაწილი, რომელიც დაახლოებით ორ ათას კაცს დაიტევს. თუ აქციის ორგანიზატორებს მეტი ხალხის შეკრების სურვილი ექნებათ, მერიაში ჩვეულებრივი წესით განაცხადის შეტანა დასჭირდებათ. თავისუფალი პოლიტიკური დისკუსიებისთვის ადგილის გამოყოფა მოსკოვში პუტინის იდეა იყო და ოპოზიციის ხალხმრავალი აქციების შემდეგ მისი განხილვა აქტიურად დაიწყეს. თავიდან იყო ასეთი ადგილის გამოყოფაზე ლაპარაკი "ბალოტნაიაზე" ან პუშკინის მოედანზე, მაგრამ, საბოლოოდ, ხელისუფლებამ მათზე უარი თქვა. შეიქმნება სპეციალური საიტიც, სადაც ორგანიზატორები ელექტრონული წესით შეიტანენ განაცხადებს პოლიტიკური დისკუსიების გასამართად ამ ადგილებში.

ოპოზიცია ამ იდეას სკეპტიკურად უყურებს. მათი აზრით, იდეა თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ ამან შეიძლება ის გამოიწვიოს, რომ ნებისმიერ სხვა ადგილზე აქციის ჩასატარებლად ნებართვის მიღება გართულდება. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ოპოზიციას ამ მოვლენასთან ბრძოლა დასჭირდება. რუსეთის დუმის დეპუტატმა "სპრავედლივაია როსიადან" დმიტრი გუდკოვმა (ის, "არასისტემურ ოპოზიციასთან" ერთად, ქუჩის აქციებში აქტიურად მონაწილეობს) ამ ადგილებს უკვე უწოდა "გეტო ოპოზიციონერებისთვის". არ არის გამორიცხული, რომ ეს ადგილები, პირველ რიგში, სწორედ კრემლის მომხრე მოძრაობებმა აითვისონ და არა - ოპოზიციის ლიდერებმა. ოპოზიციონერი და მწერალი ედუარდ ლიმონოვიც აცხადებს, რომ ლონდონის "ჰაიდ პარკი" არ არის პოლიტიკური მოედანი. ის უფრო გრძნობების ინდივიდუალურად გამოხატვის ადგილია. "შუა საუკუნეებიდან ეს იყო ადგილი, სადაც ყველას შეეძლო მისვლა და თავის პრობლემებზე საუბარი, შეიძლებოდა მეფის წინააღმდეგ გამოსვლა და ნებისმიერი სისულელის თქმა. იქ თავს ყოველთვის ბევრი გიჟი იყრიდა."

ეკვადორი ასანჯის ბრიტანეთიდან საიდუმლოდ გაყვანას არ შეეცდება

ამის შესახებ ესპანური სააგენტო "EFE" ეკვადორის საელჩოში თავის წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება. "ჩვენ პატიოსანი და ღია მეთოდებით მუშაობა გვინდა. მის გაყვანას დიპლომატიური ფოსტით ან რაიმე განსაკუთრებული პასპორტის მიცემით (ალბათ ყალბი პასპორტი იგულისხმება) არასდროს შევეცდებით." ამ საშუალებით ასანჯის ქვეყნიდან გაყვანის შესაძლებლობაზე ამ დღეებში საერთაშორისო მედია წერდა. ვენის კონვენციის თანახმად, დიპლომატიური ფოსტა შემოწმებას არ ექვემდებარება. 1984 წელს ამ მეთოდს მიმართეს ნიგერიის სპეცსამსახურებმა, როდესაც შეეცადნენ, დიდი ბრიტანეთიდან ყოფილი მინისტრი უმარუ დიკო გაეტაცებინათ. ეკვადორი აცხადებს, რომ ასანჯს შეუძლია, საელჩოში იმდენ ხანს იყოს, რამდენიც უნდა.

ყირგიზეთის მთავრობა გადააყენეს

ქვეყნის პრეზიდენტმა ალმაზბეკ ატამბაევმა პარასკევს მთავრობის გადაყენების შესახებ ბრძანებას მოაწერა ხელი. ამ გადაწყვეტილების მიღება საჭირო მას შემდეგ გახდა, რაც პარლამენტში მმართველი კოალიცია დაიშალა. ოთხშაბათს უმრავლესობა ერთდროულად ორმა ფრაქციამ დატოვა. ახალი მთავრობის ჩამოყალებებამდე კაბინეტის მოქმედი შემადგენლობა თავისი მოვალეობების შესრულებას გააგრძელებს.

მოამზადა ივა შილაკაძემ

სირია "წითელი ზონის" ზღვარზე

ხათუნა გაბიევი

სირიაში სამოქალაქო ომი გრძელდება, ლტოლვილთა რიცხვი კი სულ უფრო მატულობს. ბოლო მონაცემებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, რომლებიც თავს მეზობელ სახელმწიფოებს აფარებენ, უკვე 200 ათასს აჭარბებს. ცნობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა და თან იქვე ისიც დაამატა, რომ ციფრმა ექსპერტთა მოლოდინსაც კი გადააჭარბა, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში გაცილებით ნაკლებ რაოდენობას ვარაუდობდნენ.

თუმცა მდგომარეობის სირთულე მხოლოდ ქვეყნიდან მიგრაციის დიდ ტალღაში არ მდგომარეობს, ლტოლვილებთან ერთად მეზობელ ქვეყნებს მღელვარების გავრცელებაც ემუქრებათ, რაც მთელ რეგიონს საფრთხის ქვეშ აყენებს.

"ჩვენ ლიბანში უსაფრთხოება გვაღელვებს. რამდენიმე დღის წინ ტრიპოლიში რეგისტრაციის ცენტრი გავხსენით, მაგრამ, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, იგი უკვე დაიხურა. გარდა ამისა, იძულებულები გავხდით, შეგვეცვალა ჩვენი მუშაობის გრაფიკი და გეგმა აღმოსავლეთ ლიბანში, რათა დიდი რაოდენობით ხალხის ნაკადის მიღება თავიდან აგვეცილებინა," - განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დევნილთა საკითხების სააგენტოს წარმომადგენელმა ედრიან ედვარდსმა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ის, რომ სირიიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ლტოლვილებს დღემდე თურქეთი მასპინძლობს, სადაც სასაზღვრო რეგიონებში საგანგებოდ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის თავშესაფრებია მოწყობილი. ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ მიმდინარე კვირის განმავლობაში სირია 30 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა.

რაც შეეხება თავად სირიაში არსებულ მდგომარეობას, ასადის არმიასა და ამბოხებულებს შორის გააფთრებული ბრძოლა ისევ გრძელდება დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში. სამთავრობო ძალები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ძირითად მაგისტრალებზე კონტროლის შენარჩუნებას ცდილობენ. ოპოზიცია კი, თავის მხრივ, რეჟიმს დასახლებული პუნქტების დაბომბვაში ადანაშაულებს. რთული მდგომარეობაა ალეპოშიც. სამთავრობო ტელეარხები "წინააღმდეგობის კერების" თანმიმდევრულ ჩახშობაზე ავრცელებენ ინფორმაციას, რასაც "სირიის თავისუფალი არმია" არ ადასტურებს. ასევე არ ადასტურებს ტარტუსის პორტიდან სამხედრო ბაზის ევაკუაციაზე გავრცელებულ ინფორმაციას, თავის მხრივ, რუსეთის თავდაცვის უწყება. ძალოვან სტრუქტურაში აცხადებენ, რომ სირიის პორტში მხოლოდ დროებით არის შეწყვეტილი სამხედრო-საზღვაო ბაზის ექსპლუატაცია. ანონიმურობის საფუძველზე კი, რუსულ მედიასთან საუბარში თავდაცვის უწყების წყაროები აღნიშნავენ, რომ მოსკოვი დამასკოსთან დაზვერვის ხაზით აგრძელებს თანამშრომლობას.

უცხოური მედია კი აღნიშნავს, რომ რუსეთთან დასავლური კოალიციის დაპირისპირება გარდაუვალია, რადგან მოკავშირეებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას პოზიციას მკაფიოდ გამოუცხადეს მხარდაჭერა.

დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა სირიის პრობლემისადმი ოფიციალური ვაშინგტონის მიდგომა სამართლიანად ცნეს. როგორც ცნობილია, ბარაკ ობამამ რამდენიმე დღის წინ სირიაში სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობა არ გამორიცხა იმ შემთხვევაში, თუ ბაშარ ალ-ასადი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს გამოიყენებს, რომლის საკმაოდ დიდი არსენალის მფლობელიცაა სირია.

გაირკვა ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები სირიის ტერიტორიაზე ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის უსაფრთხოდ შენახვის უზრუნველყოფისთვის გეგმებსაც ამუშავებენ. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, ზემოაღნიშნული თემა სტამბულში ამერიკელი სამხედროებისა და დილომატების თურქ კოლეგებთან შეხვედრაზეც განიხილეს. კონსულტაციებზე გაიჟღერა "ნებისმიერი სიტუაციისთვის შესაბამისი გეგმების" საკითხმა. **"როდესაც დადგება ასადის რეჟიმის დაცემის დღე, საერთაშორისო საზოგადოება სირიელ ხალხს რეჟიმის მეტ-ნაკლებად სახიფათო იარაღის ლიკვიდაციაში დახმარებას შესთავაზებს,"** - განაცხადა ვიქტორია ნულანდმა. საერთაშორისო საზოგადოების ყველაზე მეტ შეშფოთებას კი მოვლენების იმ სცენარით განვითარების შესაძლებლობა იწვევს, რაც სახიფათო არსენალის ტერორისტების ხელში მოხვედრაა.

ინტერნეტის გაუვნებელყოფა

პირველი გვერდიდან

ინფორმაციას ორმხირივი გადაწყვეტილების მიღების შესახებ თავად ინტერნეტგაერთიანება უარყოფს.

რუსეთის ელექტრონული კომუნიკაციების ასოციაციის კონფერენციაზე, რომლის მუშაობაც ხუთშაბათს დაიწყო, უნდა შეათანხმონ ინტერნეტინდუსტრიის საერთო პოზიცია კანონპროექტის მიმართ "ბავშვთა დაცვა ინფორმაციისგან, რომელიც ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობასა და განვითარებას". საქმე ეხება საიტების წინასწარ ბლოკირებას, იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტრესურსში მოხვდება საზიანო, უკანონო ინფორმაცია. კომუნიკაციების სამინისტროს განცხადებით, სამინისტროს სამუშაო ჯგუფისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დახურული შეხვედრების შედეგად, ინტერნეტგაერთიანებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა კომპრომისს მიაღწიეს.

ზემოხსენებული კანონი, რომელიც ასევე მოითხოვს რიგ შესწორებებს ინტერნეტის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში, სახელმწიფო სათათბირომ 2012 წლის ივლისში მიიღო. ცვლილებები შესაძლებლობას იძლება, სასამართლოს გადაწყვეტილებამდეც დაიბლოკოს ის ინტერნეტრესურსები, რომელზეც განთავსდა ბავშვთა პორნოგრაფია, ნარკოტიკების რეკლამა ან ინფორმაცია სუიციდის შესახებ. კანონროექტზე მუშაობის დროს თავდაპირველად განიხილებოდა არამარტო ზემოთ აღნიშნული სამი სახის ინფორმაციის დაბლოკვა, არამედ ყველა იმ ინფორმაციის ბლოკირებაც, "რომელსაც შეუძლია, ბავშვს ზიანი მიაყენოს", თუმცა ინტერნეტგაერთიანების შეშფოთების შემდეგ ეს პუნქტი მეორე მოსმენის წინ კანონპროექტიდან ამოიღეს.

კანონის მიღებამ მაშინვე გამოიწვია უკმაყოფილება ინტერნეტინდუსტრიის წარმომადგენლების მხრიდან, რომლებიც აცხადებენ, რომ კანონპროექტზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა და რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მათთან კონსულტაციების გარეშე იქნა მიღებული.

ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რომელსაც ინტერნეტინდუსტრიის წარმომადგენლები უსვამენ ხელისუფლებას მიღებული კანონის შესახებ, არის შემდეგი: როგორ მოხდება "საიტების დაბლოკვა" URL-ის საშუალებით (კონკრეტული გვერდის მისამართით) თუ IP-ის საშუალებით (ქსელის მისამართით). რესურსის ქსელის მისამართი უკანონო შინაარსით მოხვდება სახელმწიფო რეესტრში (ამას, სავარაუდოდ, "როსკომნადზორი" გააკეთებს). საიტების დაბლოკვით დაკავებული იქნება ჰოსტინგპროვაიდერი. მათ ამისთვის ერთი დღე-ღამე მიეცემათ.

თუმცა ინტერნეტ-ინდუსტრიის წარმომადგენლები ეწინააღმდეგენიან გადაწყვეტილებას, რომ ინფორმაციის დაბლოკვა მოხდეს IP-ის საშუალებით და აცხადებენ, რომ IP-ის დაბლოკვის შემთხვევაში, შესაძლოა, მთლიანად დაიბლოკოს საიტი ან სოციალური ქსელიც კი. მაგალითად, თუ "ფეისბუქზე" ან "ტვიტერზე" რომელიმე მომხარებელი განათავსებს კანონისთვის მიუღებელ ინფორმაციას, მაგალითად, საბავშვო პორნოგრაფიას, მაშინ დაიბლოკება არა კონკრეტული ინფორმაცია, არამედ მთელი ქსელი. ხოლო URL-ით ბლოკირების შემთხვევაში დაიბლოკება კონკრეტული გვერდი. ხელისუფლების განცხადებით კი, მთავარი პრობლემა, რატომაც ვერ მოხერხდება ინფორმაციის ბლოკირება URL-ის საშუალებით, არის რუსეთის ქსელების მდგომარეობა. რუსეთის დიდ ქალაქებში პროვაიდერებს აქვთ თანამედროვე აღჭურვილობა, რომელზეც ფილტრაციის თანამედროვე სისტემის დაყენება შეიძლება. მაგრამ პატარა ქალაქებსა და რეგიონებში, რომლებიც ცენტრიდან მოშორებით მდებარეობენ, აქვთ აპარატურა, რომელიც მონაცემებს მხოლოდ IP-ის საშუალებით კითხულობს. მისი შეცვლა და თანამედროვე აპარატურის დაყენება კი საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

კომუნიკაციების სამინისტროს განცხადებით, მათ აღნიშნულ კანონპროექტზე კომპრომისს უკვე მიაღწიეს. ამას პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც ადასურებენ. საზედამხედველო ორგანოს განცხადებით, საიტების ბლოკირება IP-ი მისამართით მოხდება. ასევე მიიღებენ დამატებით აქტებსაც, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი საიტების დაბლოკვის პროცედურები. ამ შემთხვევაში ბლოკირებას განახორციელებს სერვერის მფლობელი და მთელი საიტის დაბლოკვა საჭირო აღარ გახდება. ინტერნეტგაერთიანების წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

მეორე საკითხი, რომელიც ასევე არ არის მოგვარებული, არის რეესტრის საკითხი. ანუ რეესტრი იქნება ღია თუ დახურული. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ რეესტრი უნდა იყოს დახურული. თუმცა გადაწყვეტილება ჯერ არც ამ საკითხზე მიუღიათ. პროვაიდერები, ამას გარდა, დაბლოკვის ვადის გაზრდას ერთიდან სამ დღემდე მოითხოვენ.

როგორც ჩანს, წინადადებები ამ კანონზე ბოლომდე შემუშავებული და შეთანხმებული არ არის. "ნებისმიერ შემთხვევაში ინტერნეტკომპანიების პოზიცია შემდეგია: ამჟამინდელი ფორმით კანონი არ იმუშავებს," - განაცხადა "Wikimedia.Ru"-ს წარმომადგენელმა სტანისლოვ კოზლოვსკიმ.

მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

თუ კინოვარსკვლავობა გსურთ

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ამისა, კონკურსი მაინც ტარდება. ქვემოთ კი მასში მონაწილეობის პირობებს გაგაცნობთ.

პროექტში მონაწილეობა მხოლოდ 32 წლამდე ასაკის კინომსახიობებს შეუძლიათ, ისინი პრაქტიკულად სრულყოფილად უნდა ფლობდნენ ინგლისურს და, ამავდროულად, საქართველოში შემდგარი კინოკარიერა გააჩნდეთ. ამ კრიტერიუმებს ჩვენი ზოგი მსახიობი, შესაძლოა, ასე თუ ისე აკმაყოფილებს, მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შესრულებული მთავარი როლი ფილმში, რომლის პრემიერაც 2011 წლის 26 სექტემბრის შემდეგ ანუ ამ ერთი წლის განმავლობაში შედგა. ეს კიდევ არაფერია - სასურველია, რომ პროექტის მონაწილეს ამ როლისთვის ჯილდო ჰქონდეს მოპოვებული, ხოლო ფილმს საერთაშორისო კინოფესტივალებში ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული.

ამ კრიტერიუმებს მეტ-ნაკლებად მხოლოდ ქეთი მაჭავარიანის "მარილივით თეთრში" მამაკაცის მთავარი როლის შემსრულებელი გაგი სვანიძე აკმაყოფილებს. ის 30 წლისაა, ხოლო აღნიშნულ ფილმში შესრულებული როლისთვის კოტბუსის კინოფესტივალის მთავარი ჯილდო აქვს მოპოვებული (ამავე კინოფესტივალის გამარჯვებულია თავად რეჟისორიც). თუმცა საქმე ის გახლავთ, რომ "მარილივით თეთრის" ოფიციალური გაქირავება ჩვენთან მხოლოდ მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო, თან უცნობია, რამდენად კარგად ფლობს ინგლისურს გაგი სვანიძე. უცნობია ისიც, ექნება თუ არა მას პროექტში მონაწილეობის სურვილი. ასევე ფინალში გასვლის შემთხვევაში, მოისურვებს თუ არა EFP-სთან რამდენიმე წლიან თანამშრომლობას, რაც მისი, როგორც მსახიობის პოპულარიზაციისთვის იქნება საჭირო.

ერთი სიტყვით, არჩევანი არც ისე დიდი გვაქვს, თუმცა მსურველები მაინც იქნებიან. ვინც ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, 15 სექტემბრამდე ეროვნულ კინოცენტრში უნდა წარადგინონ განაცხადი, ასევე ფილმის DVD ასლი, სინოფსისი, ფერადი პორტრეტული ფოტო, მოკლე ბიოგრაფია, ფილმოგრაფია და საკონტაქტო ინფორმაცია. კონკურსის პირობების შესაფერის მსახიობებთან გასაუბრება ქართულის გარდა ინგლისურ ენაზეც შედგება, ასე რომ საკუთარი ლინგვისტური შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას ტყუილად ნურავინ გააბუქებს. იგივე უნდა ითქვას სამსახიობო ოსტატობაზეც, რადგან Shooting Stars საკმაოდ სერიოზული პროექტია, მის ფინალში მოხვედრა და საკონკურსო ბარიერების გადალახვა კი მხოლოდ საუკეთესოებს ხელეწიფებათ.

რაც შეეხება ფინალს, აქ მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნიდან შერჩეული ათი კონკურსანტი მოხვდება ანუ შიდა შესარჩევ კონკურსში გამარჯვება პროექტ Shooting Stars-ში მოხვედრის გარანტიას არ იძლევა (ფინალისტებს EFP-ის საერთაშორისო ჟიური არჩევს). ვისაც გაუმართლებს, მის პროექტში მონაწილეობის ხარჯებს მთლიანად ეროვნული კინოცენტრი დაფარავს.

წელს European Film Promotion 15 წლის ხდება. ამ დროისთვის მის რიგებში ევროპის 30-ზე მეტი ქვეყანაა გაერთიანებული. ორგანიზაცია ევროკავშირის MEDIA Programme-ს ფარგლებში ფინანსდება და ევროპული კინოს მარკეტინგული ზრდისა და პოპულარიზაციის საქმეს ემსახურება. პროექტი Shooting Stars 1998 წლიდან ტარდება. როგორც წესი, მის გამარჯვებულებს ბერლინის კინოფესტივალის ფარგლებში აჯილდოებენ. სწორედ ასე მოხდა წელსაც - 2012 წლის კონკურსანტთა დაჯილდოების ცერემონიალი "ბერლინალეზე" გაიმართა, ჯილდო კი პროექტის ფავორიტებს მსახიობმა ჯონ ჰარტმა გადასცა.

აქვე შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა წლებში Shooting Stars-ის გამარჯვებულები არიან მსახიობები დენიელ კრეიგი, რეიჩელ ვაიზი, ფრანკა პოტენტე, ედუარდო ნორიეგა, დევიდ კროსი, კერი მალიგანი და ევროპაში ცნობილი სხვა მსახიობები.

პოეზიით სავსე "თბილისი-ზუგდიდი"

ბელა ჩეკურიშვილი

წარმოიდგინეთ, ზიხართ მატარებელში და უცებ, ვიღაც მგზავრი ლექსის კითხვას იწყებს ხმამაღლა. ამთავრებს თუ არა, მეორე იწყებს, მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე... რა ხდება? ფხიზლდებით და აქეთ-იქით იყურებით. აშკარაა, არც ლექსის სტრიქონები გეცნობათ და არც ისინი, ვინც კითხულობენ, თუმცა იმას კი ხვდებით, ეს არც ხულიგნობაა, არც წესრიგის დარღვევა,და გახსენდებათ, რომ საქართველო პოეტების ქვეყანაა. სწორედ ამას ამბობენ ის ახალგაზრდებიც, რომლებიც მერე სახელით და გვარით გეცნობიან და უკვე იქით სთხოვთ, "ერთიც წაიკითხონ"...

მინდა გითხრათ, რომ წარმოუდგენელი არაფერია, მით უფრო, საქართველოში, სადაც, ღვთის მადლით ლექსის დამწერიც შეგვრჩა, მთქმელიც და მომსმენიც. ამგვარი პერფორმანსის მონაწილენი კი წუხელ თბილისი-ზუგდიდის მატარებლის მგზავრები იყვნენ, ვისაც პოეტებმა პაატა შამუგიამ, კატო ჯავახიშვილმა, ირაკლი კაკაბაძემ, დიანა ანფიმიადიმ, გიო არაბულმა, გვანცა ჯობავამ, სანდრო ლორთქიფანიძემ, თაკო ფოლადაშვილმა საკუთარი ლექსები წაუკითხეს. და ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ ეს "ლიტერატურული ექსპრესის" მესამე გასვლაა: გამომცემლობა "ინტელექტის" პროექტის "ახალგაზრდა პოეტების 100 ლექსის" ავტორებმა მსგავსი აქცია გასული წლის დეკემბერში ბათუმი-თბილისის მატარებელში მოაწყეს, რასაც ბორჯომ-ბაკურიანის "კუკუშკა" მოჰყვა. აქციებს თან ახლდა "100 ლექსის" წარდგინება ბათუმსა და ბორჯომში. დღეს ახალგაზრდა პოეტებს მესტიის ახალგაზრდული ცენტრი "ბეთქილი" მასპინძლობს, ხვალ კი პოეზიის საღამოს ზუგდიდის "არტ გალერეაში" გამართავენ.

როცა თანამედროვე ლიტერატურაზე ვსაუბრობთ, პოეზია იქნება ეს თუ პროზა, სინანულით აღვნიშნავთ, რომ ქართული მწერლობა ხალხისგან შორს აღმოჩნდა, მკითხველი დაიკარგა, საყვარელი ავტორის ცნება გაქრა... ბუნებრივია, დაიკარგება და გაქრება, თუკი პრესით და ტელევიზიით მხოლოდ პოლიტიკასა და შოუ-ბიზნესზე ვისაუბრებთ, ლიტერატურისთვის კი თვეში ერთი გადაცემის მიძღვნა დაგვენანება. მაგრამ გამოსავალი ყოველთვის არსებობს, როგორც მაქსიმ გორკი იტყოდა, მწერალი მედალიონი ხომ არ არის, გულზე დაიკიდონ, ის ხალხში უნდა გავიდეს. ახალგაზრდა პოეტების "ლიტერატურული ექსპრესიც" სწორედ ამას ემსახურება - გაიტანონ პოეზია დედაქალაქიდან გარეთ, ხალხში, იქ სადაც მკითხველს მათი ხმა სჭირდება, თუნდაც იმის სათქმელად და საჩვენებლად, რომ ის ძირითადი ძარღვი და მადლი, რაზეც ქართული საზოგადოება საუკუნეების მანძილზე იდგა, კვლავაც არსებობს, ნიჭიერი მწერლები კვლავაც იბადებიან და ბოლო წლებში დამკვიდრებულმა ფსევდოფასეულობებმა ნამდვილი ფასეულობები ვერ გადაწონა.

"უკვე მეორედ ვმონაწილეობ ამ პროექტში. ძალიან საინტერესო აქცია გამოგვდის ხოლმე, თუნდაც იმიტომ, რომ მწერლებს ერთმანეთთან საურთიერთოდ თავისუფალი სივრცე გვეძლევა, ყოველგვარი გლამურული საღამოების თუ გაზეპირებული ტექსტების გარეშე, რაც დღეს ფუფუნება გახდა. მკითხველთან შეხვედრა ხომ თავისთავად საინტერესოა და ექსტრემალურ სიტუაციაში კიდევ უფრო მეტი ეგზოტიკა ახლავს. კურიოზიც ბევრი ხდება და მოსაგონებელიც ბევრი გვრჩება. მკითხველამდე ლიტერატურის მიტანის ნებისმიერი მცდელობა გამართლებული მგონია და ამის შემდეგ, ორმა ადამიანმაც რომ გადაშალოს რომელიმე პოეტის წიგნი, უკვე დიდი მიღწევაა"- ამბობს "ლიტერატურული ექსპრესის" მონაწილე კატო ჯავახიშვილი.

გაინტრესებთ როგორ ხვდებიან ამ ყველაფერს მგზავრები? გაოცებით და აპლოდისმენტებით, რადგან ხედავენ, რომ ეს ყველაფერი მათთვის ხდება და იმასაც გრძნობენ და ისმენენ, რომ რაღაც იმაზე კარგს სთავაზობენ, ვიდრე რუსლანაა, შაკირა, ანდა სოსო ნარიმანიძე.

მესტიელებს კი, ახალგაზრდა პოეტების "100 ლექსის" გარდა, ტარიელ ხალხელაურის 100 ლექსთანაც მოუწევს შეხვედრა, თუმცა ეს უკვე ცალკე თემაა და შემდეგ სტატიაში მოგიყვებით.

ბათუმის IV საერთაშორისო ფესტივალი "ღამის სერენადები"

25-28 აგვისტო, 2012 წელი

გონიოს ციხე

(დასაწყისი - 21:00)

პ რ ო გ რ ა მ ა

25 აგვისტო

საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი

სოლისტი - ანდრეი გავრილოვი - ფორტეპიანო (შვეიცარია)

დირიჟორი - ვლადიმერ ვერბიცკი (რუსეთი)

- ბეთჰოვენი - სიმფონია N7

- სენ-სანსი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის N2

26 აგვისტო

ეძღვნება "რადიო მუზას" დაარსებიდან 5 წლისთავს

ანსამბლი "ფეისბუქის ვირტუოზები"

I

- შუბერტი - საფორტეპიანო კვინტეტი "კალმახი", op. 114, ლა მაჟორი

ლ. ისაკაძე - ვიოლინო,

ნ. რექსროტი - ფორტეპიანო (გერმანია), ი. ჟისლინი - ალტი (ინგლისი)

ი. მონიგეტი - ჩელო (შვეიცარია), დ. გაგულიძე - კონტრაბასი (საქართველო)

II

- ჩაიკოვსკი - "მედიტაცია", "ვალსი-სკერცო"

ა. ბარანოვი - ვიოლინო (შვეიცარია), ვ. მიშჩუკი - ფორტეპიანო (რუსეთი)

- შოსტაკოვიჩი - საფორტეპიანო ტრიო, op. 67, N2

- ლ. ისაკაძე - ვიოლინო, ვ. მიშჩუკი - ფორტეპიანო, ი. მონიგეტი - ჩელო

27 აგვისტო

კამერული ორკესტრი "ფეისბუქის ვირტუოზები"

I

- ი.ს. ბახი - კონცერტი 3 ვიოლინოსა და ორკესტრისთვის, რე მაჟორი (BWV 1064)

ნ. ლომეიკო - (ინგლისი), ი. ჟისლინი (ინგლისი), ა.ლ. ბეზროდნი (ფინეთი)

- ბოკერინი - კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისთვის N2, რე მაჟორი

სოლისტი და დირიჟორი - ი. მონიგეტი

- შუბერტი - "რონდო", ლა მაჟორი

სოლისტი და დირიჟორი - ლ. ისაკაძე

II

"მუსიკოსები ხუმრობენ"

28 აგვისტო

საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი

სოლისტი - ლიანა ისაკაძე

დირიჟორი - ემანუელ ლედიუკ-ბარომი (საფრანგეთი)

- მენდელსონი - უვერტიურა "Hebriden"

- ბრამსი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის

- ბეთჰოვენი - სიმფონია N7

****

ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

ქეთევან მატაბელი

გია გუგუშვილი

შალვა მატუაშვილი

THE REGIONAL CENTRE FOR RESEARCH AND PROMOTION OF CONSTITUTIONALISM

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე ⟶ შეიმეცნე ⟶ დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა

უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მუხლი 69

1.საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.
2.საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.
3.საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ამ თანამდებობას იკავებს არჩევნების საფუძველზე. პრეზიდენტი საქართველოს მთავრობასთან ერთად ახორციელებს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას. პრეზიდენტი წარმოადგენს მთავრობის ზემდგომ ორგანოს, მთავრობა და პრემიერ-მინისტრი პასუხისმგებელნი არიან პრეზიდენტის წინაშე. პრეზიდენტი უშუალოდ და აქტიურად მონაწილეობს საქართველოს მთავრობის ფორმირების და საქმიანობის პროცესში. პრეზიდენტს გააჩნია სამართლებრივი ზედამხედველობის უფლებამოსილება ის უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები. საქართველოს პრეზიდენტი შეზღუდულ ფარგლებში ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. წელიწადში ერთხელ, როგორც წესი საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომების პირველ დღეს, იგი წარუდგენს პარლამენტს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.
თანამდებობის დაკავების შემდგომ საქართველოს პრეზიდენტი სარგებლობს იმუნიტეტით. პრეზიდენტი ხელშეუვალია, თანამდებობაზე ყოფნის დროს და არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. საქართველოს პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი. პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს ქვეყნის გარეთ და სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში. იგი უფლებამოსილია საქართველოს სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები უცხოეთის სახელმწიფოებთან; მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია უფლებამოსილი დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები საქართველოს სახელმწიფოს სახელით; პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით ნიშნავს აგრეთვე საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმმადგენლების აკრედიტაციას. დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან.

აკაკი კუხალეიშვილი
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

მუხლი 70

1. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. (15.10.2010. №3710).
3. პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს ამომრჩეველთა ხელმოწერებით ორგანული კანონით დადგენილი წესით. ორგანული კანონით განსაზღვრული ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობა არ შეიძლება იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 1%-ზე მეტი. (12.03.2008. №5853).
4. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. (06.02.2004. №3272).
5. თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური. (27.12.2006. №4133).
6. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. (06.02.2004. №3272).
7. თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები. (15.10.2010. № 3710).
8. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.
9. პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. (27.12.2006. №4133).
10. ამოღებულია (15.10.2010. № 3710).

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. ის წარმართავს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. პრეზიდენტი არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობასთან ერთად ახორციელებს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას. პრეზიდენტს ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე თავი. კონსტიტუციის 70-ე მუხლით განსაზღვრულია პრეზიდენტის არჩევის წესი.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას (პარტიას) ან ამომრჩეველთა ხუთ კაციან საინიციატივო ჯგუფს. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა უნდა დადასტურდეს არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის ხელმოწერით. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვთ წარადგინონ საქართველოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატი.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში ატარებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 10 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა.

ხელახალი არჩევნები იმართება, თუ არჩევნების პირველ ან მეორე ტურში მონაწილე ყველა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა. ხელახალ არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი. ცნობა ხელახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ ქვეყნდება პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 45-ე დღისა. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 72 საათისა ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.

მზია ფუტკარაძე
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

ქ.ბათუმი, საქართველოს ა.მეფის ქუჩა, №26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12: (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

პირველი "კლასიკოს" ექვსი გაკვეთილი

2012-13 წლების საფეხბურთო სეზონი დაიწყო და გაიმართა პირველი "კლასიკო". უკანასკნელ წლებში ტრადიციად იქცა, რომ ორი ესპანური გრანდი სეზონში არა ორ, არამედ გაცილებით მეტ "ელ კლასიკოს" მართავს. "ბარსა"-"რეალის" დაპირისპირების ხილვა მხოლოდ პრიმერას ეგიდით როდი შეგვიძლია. ლა ლიგას ემატება ესპანეთის სამეფო თასი, ესპანეთის სუპერთასი და ჩემპიონთა ლიგა. მოკლედ, "კლასიკოების" სიმწირეზე ვერავინ იწუწუნებს. და აი, მიმდინარე სეზონის პირველი "კლასიკოც" ვიხილეთ.

ესპანეთის სუპერთასის პირველ მატჩში "ბარსელონამ" საკუთარ მინდორზე "რეალს" ანგარიშით 3:2 მოუგო. გამოვყოთ ექვსი ძირითადი მესიჯი.

ჩავი

მთავარი ვარსკვლავები ჩრდილში აღმოჩნდნენ

"კლასიკოს" ხშირად მესისა და რონალდუს დაპირისპირებას უწოდებენ. ამჟამად მსოფლიოს ორმა საუკეთესო ფეხბურთელმა ბევრით ვერაფრით გაგვაკვირვა. მართალია, გოლი ორივემ გაიტანა, მაგრამ მესიმ პენალტი დაარტყა, რონალდუს გოლი კი სერხიო ბუსკეტსის უხეშ შეცდომას მოჰყვა. შეიძლება ითქვას, რომ ახლა არც ერთი არ არის საუკეთესო ფორმაში და ორივემ გაგვიცრუა იმედი.

მესიმ ორი ბრწყინვალე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ამას კიდევ რა უჭირს, არგენტინელი აშკარად არ იყო აქტიური. ჩრდილში მოექცა რონალდუც. შესაძლოა, განმეორებით მატჩში ყველაფერი შეიცვალოს.

იოზილი - ნაბიჯი უკან

მესუთ იოზილი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია, პრიმერაში კი ალბათ საუკეთესოთა სამეულშია. გასული სეზონის მეორე ნახევრამდე თურქული წარმოშობის გერმანელ ფლეიმეიქერს მუდამ იმიტომ აკრიტიკებდნენ, რომ დიდ მატჩებს მაღალ დონეზე ვერ მართავს. 2011-12 წლების სეზონის მეორე ნახევარში ვითარება შეიცვალა. უკანასკნელ სამ "კლასიკოში" იოზილმა მაღალ დონეზე ითამაშა. ამას მოჰყვა ბრწყინვალედ ჩატარებული ევროკ. დაიწყო 2012-13 წლების სეზონი და იოზილმა "კლასიკოში" ვერაფრით ვერ გამოიჩინა თავი. ისევ ის იოზილია, რომელიც სუპერმატჩებში პირველი ვიოლინოს ფუნქციის შესრულებას ერიდება. მოკლედ, ჯერჯერობით აშკარაა, რომ მესუთი ინიესტას და ჩავის, სულ მცირე, ერთი ნაბიჯით მაინც ჩამორჩება.

ვალდესის ფაქტორი

ძნელი მისახვედრია, რისი გაკეთება უნდოდა ვალდესს, როდესაც ანხელ დი მარიასთან დაიწყო მატაობა. "ბარსას" მეკარემ "რეალს" გოლი და სუპერთასის მოგების შანსი აჩუქა.

"ბარსელონას" ფანები ვალდესის შეცდომებს შეჩვეული არიან. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც კატალონიური გუნდის პირველი ნომერი ცდება. პირველ გოლში ვალდესს ვერ დავადანაშაულებთ. აქ მცველების უხეშ შეცდომაზე შეიძლება საუბარი. მეორე გოლი კი ვალდესის სინდისზეა. ალბათ ყველას ახსოვს ეპიზოდი: მასკერანომ ვალდესს ბურთი უკან დაუბრუნა, კატალონიელთა მეკარემ კი ტექნიკის დემონსტრირება დაიწყო და ანხელ დი მარიას მოტყუება სცადა.

ვალდესი ურიგო მეკარე არ არის, მაგრამ ხშირად მეტისმეტად ბევრს იღებს თავის თავზე და შეცდომებიც ამის შედეგია. უდავოა, რომ "ბარსელონას" ვალდესის შემცვლელი სჭირდება.

სალაპარაკო მოურინიოსთვის

როგორ შეიძლება "კლასიკო" ისე დასრულდეს, რომ ჟოზე მოურინიოს საწუწუნო არ ჰქონდეს. პორტუგალიელი რამეს აუცილებლად მოიგონებს. ახლაც ასე მოხდა. "ბარსელონას" პირველი გოლი თამაშგარედან გავიდაო, - თქვა მატჩის შემდეგ მოურინიომ. ეპიზოდი საეჭვოა, თუმცა, გადაჭრით იმის თქმა, რომ "ოფსაიდი" იყო, შეუძლებელია. თავადაც ხვდებით, რომ ამას მოურინიოსთვის მნიშვნელობა არა აქვს. ახლა მეორე "კლასიკომდე" ჟოზე ალბათ მარტო ამ ეპიზოდზე ისაუბრებს.

ძველი ისტორია

მოურინიო საკუთარ თავს და სტილს არ ღალატობს. "რეალმა" ამჯერადაც დაცვითი სტილის ფეხბურთი არჩია. როდესაც საუბარია ლა ლიგას მატჩებზე, მოურინიო "ბარსელონას" წინააღმდეგ თამაშშიც კი შემტევ ტაქტიკას ირჩევს, მაგრამ სათასო ბატალიებში, თანაც პირველ თამაშში, მოურინიომ დაცვითი სტილი არჩია. გასაკვირი არაფერია. ბოლოს და ბოლოს, "რეალი" სტუმრად თამაშობდა, თუმცა, ტენდენცია მაინც აღსანიშნავია: "მისტერ განსაკუთრებული" სათასო მატჩებში შემტევ ფეხბურთს ერიდება.

შესაძლოა, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ იოზილი და რონალდუ ჩრდილში იყვნენ. დაველოდოთ მეორე მატჩს და ვნახოთ, რას იზამს მოურინიო "სანტიაგო ბერნაბეუზე".

"რეალს" თამაში მიჰყავს

ჩვენ შეგვიძლია გავაკრიტიკოთ მოურინიოს მიერ შერჩეული დაცვითი სტილი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ბოლო რამდენიმე "კლასიკოა", თამაშის სცენარს "რეალი" კარნახობს. დიახ, "რეალი" დაცვიდან თამაშობდა, მაგრამ პირველი გოლი სწორედ მადრიდელებმა გაიტანეს. შემდეგ კი, როდესაც "სამეფო კლუბი" რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, მეორე გოლიც გავიდა. მართალია, ეს ვალდესის შეცდომით მოხდა, მაგრამ კატალონიელთა მეკარე არ შეცდებოდა, რომ "რეალს" მეტოქეზე ზეწოლა არ განეხორციელებინა. სტუმრად "ბარსას" კარში ორი გოლის გატანა ხუმრობა არ არის. ვნახოთ, რა იქნება მეორე მატჩში. უფრო დამაჯერებელი დასკვნების გაკეთების საშუალებას მეორე "კლასიკო" მოგვცემს.

სამხრეთ ოსეთის ოლიმპიურ კომიტეტს არსებობა არ უწერია

საინფორმაციო სააგენტო "რეს"-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც სამხრეთ ოსეთში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექნას გეგმავენ. სააგენტო კი, თავის მხრივ, ეყრდნობა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდული პოლიტიკის, ტურიზმისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ვადიმ ბოგიევის განცხადებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარისთვის მივმართეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს რამაზ გოგლიძეს.

"ვადიმ ბოგიევის ამ განცხადებას ჯერ არ გავცნობივარ, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მათი ინიციატივა ჩამოაყალიბონ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ჩანასახშივე განწირულია კრახისთვის. მსოფლიო აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ასე რომ, არაღიარებული ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს არავითარი მხარდაჭერა არ ექნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან. ასეთი რამ, უბრალოდ, გამორიცხულია. ამიტომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდული პოლიტიკის, ტურიზმისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ვადიმ ბოგიევის ამ განცხადებაზე რეაგირებას საჭიროდ არ ვთვლი, რადგან კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ყველაფერი ძალზე არასერიოზულად ჟღერს. მსოფლიო ოლიმპიური ოჯახი ამას არ დაუშვებს".

ბელარუსთა თავკაცმა სათბილისო შემადგენლობა დაასახელა

საქართველოოს ფეხბურთელთა ნაკრები 2014 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლს 7 სექტემბერს, თბილისში, ბელარუსის წინააღმდეგ მატჩით იწყებს. ბელარუსის ნაკრების თავკაცმა გეორგი კონდრატიევმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებსაც თბილისში ჩამოიყვანს.

მეკარეები: იური ჟევნოვი ("ზენიტი", რუსეთი), სერგეი ვერემკო ("კრილია", რუსეთი), ალექსანდრ გუტორი ("ბატე");

მცველები: დმიტრი ვერხოვცევი ("კრილია"), ალექსანდრ მარტინოვიჩი ("კრასნოდარი", რუსეთი), იგორ შიტოვი ("დინამო" მოსკოვი, რუსეთი), მაქსიმ ბორდაჩევი, დენის პოლიაკოვი, არტიომ რადკოვი (ყველა - "ბატე");

ნახევარმცველები: ანტონ პუტილო ("ფრაიბურგი"), იან ტიგორევი ("ლოკომოტივი", რუსეთი), ვიტალი ტრუბილო, სტანისლავ დრაგუნი (ორივე - "დინამო", მინსკი), პაველ ნეხაიჩიკი ("დინამო", მოსკოვი, რუსეთი), მაქსიმ ჟავნერჩიკი ("ყუბანი", რუსეთი), რენან ბრესანი, ალექსანდრ გლები, დმიტრი ბაგა (ყველა - "ბატე"), ალექსანდრ კულჩი ("სიბირი", რუსეთი), ანდრეი ხაჩატურიანი ("შახტიორი", სოლიგორსკი);

თავდამსხმელები: სერგეი კორნილენკო ("კრილია სოვეტოვი", რუსეთი), სერგეი ბალანოვიჩი ("შახტიორი"), დმიტრი მოზოლევსკი, ვიტალი როდიონოვი (ორივე - "ბატე").

იაშკა "ბოხუმის" მწვრთნელმა შეაქო

ფეხბურთის ქართველმა გულშემატკივარმა იცის, რომ ვეტერანი ფეხბურთელი ალექსანდრე იაშვილი მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში "ბოხუმში" გადავიდა. ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ანდრეას ბერგმანმა პრესტიჟულ გერმანულ გამოცემა "კიკერთან" საუბარში განაცხადა, რომ იაშვილის სახით მისმა გუნდმა ძლიერი შეავსება მიიღო. "ჩვენი გუნდის ახალწვეულებიდან მხოლოდ იაშვილს არ სჭირდება აკლიმატიზაცია. ის 34 წლისაა და ძველებურად მუშაობს. განვლილი სამი მატჩი ისე ჩაატარა, თითქოს მთელი კარიერა "ბოხუმში" ჰქონდეს გატარებული. მისი თამაში კარგი საყურებელია, თუმცა, რა თქმა უნდა, ჯერ ყველაფერი არ უჩვენებია", - აღნიშნა ბერგმანმა.

"ლივერპული" კეროლს ვერ ელევა

"ლივერპულის" თავკაცი ბრენდან ჯონსონი უარყოფს ბრიტანულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ენდი კეროლი გუნდს დატოვებს.

"კეროლის რომელიმე სხვა გუნდში იჯარით გაშვება გამორიცხულია. ზაფხულში ისედაც დიდი დანაკლისი განვიცადეთ და არავის გაშვებას აღარ ვაპირებთ. კეროლი ჩვენი გუნდის წევრად რჩება. ახლა ჩემს განკარგულებაში სულ სამი თავდამსხმელია: ბორინი, სუარესი და კეროლი. რომელიმე მათგანის დაკარგვა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. თუ კეროლი გუნდს დატოვებდა, მე სასწრაფოდ მისი შემცვლელის მოძებნა მომიწევდა. ეს კი სულაც არ მინდა", - თქვა ჯონსონმა.

ლენს არმსტრონგს "ტურ დე ფრანსის" ტიტულები ჩამოართვეს

გიგა გურასაშვილი

ცნობილ, უფრო სწორად, ლეგენდარულ ველომრბოლს, ამერიკელ ლენს არმსტრონგს თითქმის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. "ტურ დე ფრანსის" შვიდგზის ტრიუმფატორს დოპინგის მოხმარებისთვის ამერიკის ანტიდოპინგურმა სააგენტომ (USADA) სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და 1999-2005 წლებში "ტურ დე ფრანსზე" მოპოვებული შვიდივე ტიტული ჩამოართვა! უკვე უტიტულო არმსტრონგმა კი, რომელიც საკუთარ ღირსებას იცავდა სასამართლოში, USADA-სთან ფარ-ხმალი დაყარა - ბრძოლა შეწყვიტა.

ამერიკელმა დაკარგა ყველაფერი, რისთვისაც წლების განმავლობაში იბრძოდა დიდ სპორტში.

არმსტრონგის წინააღმდეგ საქმე აღიძრა წლეულს, ივნისში, როდესაც ამერიკის ანტიდოპინგურმა სააგენტომ, 2009 და 2010 წლების სინჯების დადებითი პასუხის საფუძველზე, ველომრბოლი ანტიდოპინგური კანონმდებლობის დარღვევაში დაადანაშაულა.

ბრალმდებლის აზრით, არმსტრონგმა დაარღვია მთელი რიგი წესები - აკრძალული პრეპარატების მიღებით დაწყებული, დოპინგის გავრცელებითა და სხვა სპორტსმენებისთვის აკრძალული პრეპარატების მიღების წაქეზებით დამთავრებული. ივნისშივე ველომრბოლმა უარყო ყველა ბრალდება და გადაწყვიტა საკუთარი ღირსება დაეცვა სასამართლოში. თუმცა, მის საქმესთან დაკავშირებით განაჩენის გამოტანა რამდენჯერმე გადაიდო. ამერიკელმა გადაწყვიტა ბრძოლა შეეწყვიტა.

"ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც უნდა თქვას: "საკმარისია". ახლა ჩემთვის ეს დრო დადგა. ჩემ წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებას "მოჩვენებებზე ნადირობად" ვთვლი. ისინი ამტკიცებენ, რომ რბოლაში უსამართლო უპირატესობა მქონდა და ამის წყალობით მოვიგე ზედიზედ შვიდი "ტური". უკვე დავიღალე ამ სისულელესთან ბრძოლით".

არმსტრონგს ფარ-ხმლის დაყრა ძალზე ძვირი დაუჯდება. USADA-ს აღმასრულებელი დირექტორის, ტრევის ტაიგარტის სიტყვებით, ველომრბოლი სამუდამოდ მოიკვეთება პროფესიული ველოსპორტიდან და ჩამოერთმევა "ტურ დე ფრანსის" შვიდივე ტიტული.

"ყველასთვის, ვისაც უყვარს სპორტი და ჩვენი სპორტსმენები, სამწუხარო დღე დადგა, - სინანულით ამბობს ტაიგარტი. - ეს გულდასაწყვეტი მაგალითია იმისა, თუ როგორ იჩრდილება სამართლიანი ასპარეზობები და როგორ იჩაგრებიან სპორტსმენები, რომლებიც არ იღებენ დოპინგს. ეს იქნება კარგი მაგალითი მომავალი თაობებისთვის, იასპარეზონ დოპინგის გარეშე".

მაგრამ არმსტრონგს კიდევ აქვს შესაძლებლობა ლოზანაში, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში (CAS) გაასაჩივროს USADA-ის განაჩენი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCI) დამოკიდებულებაც. მეორე მხრივ, ლენსს აღარ სურს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ხელმეორედ ჩაებას სასამართლო მარათონში. მისი აზრით, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის: "USADA-ს არ შეუძლია ჩამომართვას პროფესიული გამარჯვებები, მაშინაც კი, თუ ტიტულებს ჩამომართმევს. ვიცი, ვინც მოიგო ზედიზედ შვიდივე "ტური". ეს იციან ჩემმა თანაგუნდელებმაც და მეტოქეებმაც".

ლენს არმსტრონგმა 2011 წელს წერტილი დაუსვა სპორტულ კარიერას. "ტურ დე ფრანსზე" გამარჯვებების გარდა, მის საჩემპიონო ყულაბაშია სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს და მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლები. მათ შორისაა ნაკლებად პოპულარულ შეჯიბრებებზე გამარჯვებებიც.

1996 წელს ექიმებმა არმსტრონგს დაუსვეს დიაგნოზი - სათესლე ჯირკვლების კიბო, რომლის მეტასტაზები გავრცელდა მუცლის ღრუში, ფილტვებსა და ტვინში. შანსი იმისა, რომ გადარჩენილიყო, ექიმების გამოთვლით, 20 პროცენტი იყო. არმსტრონგმა კი არათუ სასიკვდილო სენი დაამარცხა, არამედ სპორტს დაუბრუნდა და შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. ველოსიპედზეც მხოლოდ იმიტომ დაჯდა, რომ კიბოსთან ბრძოლის პროპაგანდა გაეწია. გარდა ამისა, მძიმედ დაავადებულთა დასახმარებლად შექმნა "ლენს არმსტრონგის ფონდი".

დღეს კი ყველა მისი მიღწევა გაქარწყლებულია და მხოლოდ მოგონებებშია დალექილი.

ვალიდოლის ნაკრები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პირველ მეოთხედში ლატვიას იქვე, გამოტანის დროს წავართვით ბურთი. ზაზა ფაჩულიას ტრავმა აქვს და კაპიტანი ასი პროცენტით ვერ იწევა, ტკივილი დისკომფორტს უქმნის. გიორგი შერმადინი ოპტიმალურ ფორმაში ვერ არის. გიო მოუმატებს და ნაკლებს მოგვიხსნიან. უფრო აგრესიული იქნება თორნიკე შენგელიაც. უნდა იყოს. შენგელიას აგრესია, ენერგიის ტორნადო მოაქვს. ლატვიასთან თორნიკე ცოტა პასიური, რბილი იყო. ნორმალური პროცენტით (8/4 საშუალო, 2/1 სამიანი) გაუშვა ბურთი და მაინც ვერ იყო ბოლომდე დაქოქილი. შენგელია ჯდებოდა და კოკოშკოვი დაბალი ხუთეულით (ცინცაძე, ჯეიკობ პულენი, მანუჩარ მარკოიშვილი, სანიკიძე, ფაჩულია) აგრძელებდა თამაშს. ლატვიას ამ ხუთეულმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა. სისწრაფით ლატვიას პერიმეტრზე ვაჩერებდით და პროთეზს ვაცლიდით.

ფაჩულიამ ლატვიას თავიდან წამოარტყა, ლატვიის ცენტრებმა ფოლები აიკიდეს და ზაზა იქ ბაობაბივით იდგა. ლატვიამ ოდნავ შეცვალა თამაში და ცენტრები პერიმეტრზე ამოწია. პერიმეტრზე ამოდიოდა ზაზაც და სამწამიანში ჩასვლას ვერ ასწრებდა. ლატვიის სლეშერებმა რამდენიმე ეფექტური შესვლით შეცვალეს ტემპი. ფაჩულია მაინც კარგი იყო. ზაზამ სანდო, თავისი კალათბურთი ითამაშა. 13/7 ზუსტი სროლა მშვენიერია. 6 შეცდომა ბევრია. ტრავმის გათვალისწინებითაც ბევრია.

არაჩვეულებრივი იყო მარკოიშვილი. 19 ქულა სოლიდურია და უფრო სოლიდური იყო მანუს დაცვა. 5 ჩაჭრა, თითქმის იდეალური დაცვა ლატვიის ლიდერზე, მისტერ კუკსიქსზე, რომელმაც არასრულ 26 წუთში 8 სროლიდან 5 სხვაგან გაუშვა. მანუმ იმ ეპიზოდებში აკრიფა, ლატვიამ რომ დაქაჩა და სამიანების სერია გაუშვა. მარკოიშვილი - The MAN.

ბოლო წუთებზე ოლივერ სთოუნის ამბები წავიდა.

გიორგი ბაბალაძის ფოტო

მანუჩარ მარკოიშვილმა 19 ქულა აიღო

ძირითადის დასრულებამდე რჩება სამი წუთი და ვიგებთ 12 (76:64) ქულას.

წავიდა ლატვიის სერია - ბერზინსის სლემი, შტრელნიექსის სამიანი, შტრელნიექსის საშუალო, ბერზინსის საშუალო და შტრელნიექსის 2+1. ლატვიამ დაქაჩა და მერე ჩვენი კიდევ ერთი შეცდომა წამოვიდა.

მერე ლატვიამ, მეიერისმა საჯარიმოები ვერ გამოიყენა, ბურთი მოხსნა მისტერ პულენმა, გახედა კოკოშკოვს, დააკაკუნა და სამიანი გაუშვა. პულენის ბოლო აკორდით მთელი ეს გაუგებარი და საინტერესო როკ ოპერა მორჩა. 79:76. მოვიგეთ.

ეს ნაკრები იგებს მარაგით და ამ ნაკრებთან მეგობრობა ვალოკორდინის დიეტაა. უბრალოდ, არ ვაგებთ და ეს სასიამოვნოა.

ნაკრები იგებს და ამ შესარჩევში, იდეაში, არ უნდა წააგოს. რუმინეთში და ჰოლანდიაში თუ არ ვიცელქებთ, ევროპის ჩემპიონატის ვიზა აღებული გვაქვს.

D ᲯᲒᲣᲤᲘ

საქართველო (3:0)-**ლატვია** (2:2) **79:76**
21:20, 20:16, 23:17, 15:23

საქართველო: მარკოიშვილი (**19**+5 მ+5 ჩ+4 პ), ფაჩულია (**18**+9 მ), შენგელია (**12**+5 მ+2 დ), სანიკიძე (**10**+5 მ+2 პ), ცინცაძე (**9**+7 მ+7 პ+3 ჩ), პულენი (**9**+5 პ+2 მ), შერმადინი (**2**+3 მ), ბოისა.

ლატვია: შტრელნიექსი (**22**+6 ჩ+2 მ), კ.ბერზინსი (**14**+11 მ+4 დ), დ.ბერტანსი (**13**+3 მ+3 პ), კუკსიქსი (**7**+2 მ+2 პ), ფრეიმანისი (**5**), მეიერისი (**5**+4 მ), იერომანოვსი (**4**+3 ჩ), შელაკოვსი (**2**+2 მ+2 ჩ), ვეცვაგარსი (**2**), ა.ბერზინსი (**2**+4 მ).

რუმინეთი (1:2)-**ბოსნია** (3:1) **79:84**
22:25, 10:27, 25:23, 22:9

რუმინეთი: მოლდოვეანუ (**25**+11 მ), მანდაჩი (**11**+6 პ+2 მ), ნიჩოარა (**10**+10 მ+3 პ), დრაგუშინი (**10**+3 მ).

ბოსნია: ტელეტოვიჩი (**21**+9 მ), კიკანოვიჩი (**21**+7 მ), დედოვიჩი (**17**+7 პ+4 მ), მაშიჩი (**12**), რაითი (**5**+8 პ+5 მ).

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები

შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge